განმარტებითი ბარათი

„საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (გამსესხებელი) და საქართველოს (მსესხებელი) შორის საკრედიტო შეთანხმების (ქალაქ ხაშურის და მიმდებარე დასახლებების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მომსახურების გაუმჯობესება)“ თაობაზე

2019 წლის 19-20 ნოემბერს გაიმართა მოლაპარაკებები საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (AfD) და საქართველოს შორის საკრედიტო შეთანხმების (ქალაქ ხაშურის და მიმდებარე დასახლებების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მომსახურების გაუმჯობესება)“ ტექსტის მიღების მიზნით.

პროექტი ითვალისწინებს წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაციას ქალაქ ხაშურში. იგეგმება 2 არსებული სათავე ნაგებობის და მასთან დაკავშირებული სატუმბი სადგურების რეაბილიტაცია, გადამცემი ხაზებისა და სადისტრიბუციო ქსელების რეაბილიტაცია, ამავე დროს განხორციელდება საკანალიზაციო ქსელის, მათ შორის კონექტორების, რეკონსტრუქცია და გაფართოება. ამასთანავე გათვალისწინებულია ძველი წყალარინების გამწმენდი ნაგებობის დემონტაჟი და ახლის აშენება.

პროექტის დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 58.000.000 ევრო სესხის სახით. ასევე, გრანტი 8.650.000 ევროს ოდენობით.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 ივლისის N1294 განკარგულების საფუძველზე, 2020 წლის 31 ივლისს საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა საკრედიტო ხაზის შეთანხმებას „ქალაქ ხაშურის და მიმდებარე დასახლებების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მომსახურების გაუმჯობესება“

AFD-ს მიერ შემოთავაზებული სესხის ფინანსური პირობებია:

სესხის მოცულობა: 58.000.000 ევრო;

სესხის ხანგრძლივობა: 20 წელი;

შეღავათიანი პერიოდი: 6 წელი;

სესხის საპროცენტო განაკვეთი: ფიქსირებული ან ცვლადი საპროცენტო განაკვეთი (შეთანხმდება მხარეთა შორის თანხის ჩამორიცხვის ეტაპზე);

ვალდებულების გადასახდელი: 0.50% (ერიცხება სესხის აუთვისებელ თანხას)

ადმინისტრირების გადასახდელი: სესხის თანხის 0.50% (ერთჯერადი გადასახდელი, ერიცხება სესხის მთლიან მოცულობას)

სესხის მიმღებია საქართველო, წარმოდგენილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, პროექტის განმახორციელებელია შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“. აღნიშნული კომპანიის შესაძლებლობების გაძლიერება ასევე გათვალისწინებულია პროექტის ფარგლებში, კერძოდ სპეციფიკური აღჭურვილობის მიწოდება მოხდება გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ხაშურის სერვის ცენტრის თანამშრომლებისათვის.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო პროექტის განსახორციელებლად გადაასესხებს აღნიშნული საკრედიტო ხაზის შეთანხმებით გათვალისწინებულ სესხის თანხას შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ იმავე პირობებით, რა პირობებითაც საქართველომ მიიღო სესხი AFD-სგან.